გუშინ თბილისში ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მინსკის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

მატჩის პირველი წუთებიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა. ანგარიში გახსნა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ მე-18 წუთზე. 25-ე წუთზე მარცხენა შუამარბმა ვ. ბერეჟნოიმ 20 მეტრის მანძილიდან მეორე ბურთი გაიტანა მინსკელთა კარში. 5 წუთიც არ იყო გასული, რომ ვ. ბერეჟნოის მიერ დარტყმულმა ბურთმა მესამედ შეარხია სტუმრების კარის ბადე. 35-ე წუთზე ა. ღოღობერიძემ კიდევ ერთი ბურთით გაადიდა ანგარიში.

თამაშის მეორე ნახევარი კვლავ თბილისელთა იერიშებით დაიწყო. გ. ჯეჯელავამ და ა. ღოღობერიძემ ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. ამის შემდეგ თამაშის ტემპი შენელდა. თბილისელები თითქოს დასჯერდნენ მიღწეულ წარმატებას. სტუმრებმა ისარგებლეს ამით და ხელთ იგდეს ინიციატივა. ტერიტორიული უპირატესობა დიდხანს მინსკელების ხელში იყო, მაგრამ თბილისელი დამცველები კარგად იგერიებდნენ მათ იერიშებს. თამაშის ბოლო წუთებში თბილისელებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გადიდების რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ეს მათ ვერ გამოიყენეს.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით _ 6:0.

ა. გოგოლაშვილი.
“კომუნისტი”, 8 ივნისი, 1947 წ.